ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2015 წლის 4 მაისი

ქ. თბილისი

,,ქურთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ქურთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქურთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 08/01/2015, 190040000.35.146.016091) დამტკიცებული წესის მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების ფარგლებში სხვადასხვა მიზეზით დარჩენილი სურსათი ქურთის მუნიციპალიტეტის გაგებლის ბრძანებით განაწილდეს მარჩენალდაკარგულ და მრავალშვილიან ოჯახებზე.“

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით თუთარაშვილი**